ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9723361001
თარიღი:27/12/2023

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა N-12

დ. ლენტეხი.

თამარ მეფისქ.N-24 27 დეკემბერი 2023წ.

მიმდინარე წლის 27 დეკემბერს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. ბიუროს სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომას ესწრებოდა ბიუროს 11 (თერთმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა ბიუროს 7(შვიდი) წევრი.

ბიუროს სხდომას ესწრებოდა საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის აპარატის უფროსი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცება.**

   /მომხს: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი/

2. **საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) უფროსის ანგარიში 2023 წელს აპარატის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.**

   /მომხს: საკრებულოს აპარატის უფროსი მაყვალა ჩანქსელიანი/

ბიუროს დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

მომხრე -11

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. მოისმინეს: საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ საკითხები მომზადებულია, განხილულია საკრებულოს კომისიების სხდომებზე და ჩამოყალიბდა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი სოზარ ბენდელიანი/

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

/ მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი ტარიელ აფაქიძე/

3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების დამტკიცების თაობაზე.

/მომხს: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი/

4.2024 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი სოზარ ბენდელიანი

5. **2024 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ.**

/მომხს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

6.,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი გულივერ გაზდელიანი/

7. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი/

შენიშვნა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით არ ყოფილა. ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

მომხრე -11

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით.

3. **მოისმინეს: საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) უფროსმა მაყვალა ჩანქსელიანმა ბიუროს წევრებს წარუდგინა ანგარიში 2023 წელს აპრატის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ:**

საანგარიშო პერიოდში, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა თავისი საქმიანობა სამართლებრივი საფუძვლების თანახმად განსაზღვრული უფლებამოსილების მიხედვით წარმართა.

საკრებულოს აპარატი უზრუნველყოს საკრებულოს, საკრებულოს კომისიების, ფრაქციების, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების და თანამდებობის პირების ეფექტური საქმიანობისთვის შესაბამისი პირობების შექმნას და დახმარებას უწევს საკრებულოს წევრებს მათი უფლებამოსილების განხორციელებაში. ორგანიზაციულად უზრუნველყოფს მოქალაქეთა ურთიერთობას საკრებულოსთან და საკრებულოს

თანამდებობის პირებთან, საკრებულოს წევრების სამუშაო პირობების შექმნას. ეხმარება მათი მოვალეობების შესრულებაში და მოსახლეობასთან შეხვედრებში.

ყველა თანამშრომელს აქვს მისი თანამდებობრივი ინსტრუქცია, ყოველთვიური სამუშაო გეგმა, რაც განამტკიცებს შრომის რაციონალურ განაწილებას. თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს.

,,საქმისწარმოების ერთიანი წესების" დამტკიცების და ამოქმედების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N- 414 ბრძანებულების პირველი თავის 46-ე და 48-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად 2023 წლის იანვარში მომზადდა და დამტკიცდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმეთა ნომენკლატურა. ნომენკლატურის მიხედვით 2023 წელს საკრებულოში წარმოებული იყო 29 (ოცდაცხრა) საქმე. 2023 წლის პირველ კვარტალში საკრებულოს აპარატის მიერ მომზადდა და შემდგომ საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დამტკიცდა საკრებულოს და საკრებულოს კომისიების კვარტალური და წლიური სამუშაო გეგმები.

აპარატის ყველა თანამშრომელი ეწევა აქტიურ და ნაყოფიერ მუშაობას საკრებულოში დოკუმენტბრუნვის მოსაწესრიგებლად.

2023 წლის თებერვლის ბოლოს მომზადდა და დამტკიცდა საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების გეგმა. თებერვლის თვეში დაიგეგმა საჯარო მოხელეთა შეფასება.

წარმოგიდგენთ საკრებულოს მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას :

ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ა :

საკრებულოს აპარატმა ორგანიზაციული-ტექნიკური უზრუნველყოფა გაუწია ლენტეხის მუნიციპალიტეტის

1.საკრებულოს მორიგ 12 (თორმეტ) სხდომას;

2. საკრებულოს რიგგარეშე 8 (რვა) სხდომას;

3. საკრებულოს ბიუროს 12 (თორმეტ) სხდომას;

4. მუდმივმოქმედი კომისიების 38 (ოცდათვრამეტ) სხდომას;

5. ფრაქციის 11 (თერთმეტ) სხდომას.

მიღებულია 175 (ასსამოცდათხუთმეტი) სამართლებრივი აქტი.აქედან:

1. **26 (ოცდაექვსი) დადგენილება;**
2. **69 (სამოცდაცხრა) განკარგულება;**
3. **გამოიცა 83 (ოთხმოცდასამი) ბრძანება.**

2023 წელს შემოსულია 135 (ასოცდათხუთმეტი) წერილი. აქედან 16( ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. ყველა წერილზე დროულად მოხდა რეაგირება და პასუხების გაცემა.

საკრებულოდან გასულია 207(ორასშვიდი) წერილი.

ელექტრონულად მიმდინარეობს შემოსული, შიდა და გასულ კორესპოდენციათა, საკრებულოს მიერ მიღებული ყველა სამართლებრივი აქტის რეგისტრაცია, მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეების დასკვნებისა და მათი ანგარიშების გამოქვეყნება.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსდა ყველა სახის საჯარო ინფორმაცია, მუნიციპალიტეტში მიმდინარე სიახლეები.

2023 წლის 1 იანვრიდან დღემდე აპარატი ახდენდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომების ორგანიზებას, საკრებულოს წევრების გაფრთხილებას საკრებულოს სხდომებზე, კომისიათა სხდომებზე და საჯარო განხილვაზე დასასწრებად, მასალების

გადამრავლებას.

კომპიუტერული მომსახურება გაეწიათ საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს, ყოველთვიურად გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშებს, გასაგზავნ წერილებსა და განცხადებებს; პასუხი გაეცა კომისიებში და ფრაქციებში შემოსულ ელექტრონულ კორესპონდენციას.

შეუფერხებლად მიმდინარეობდა საკრებულოს წევრების შეუფერხებლად მიმდინარეობდა საკრებულოს წევრების და აპარატის თანამშრომლების ტექნიკური მომსახურება, აგრეთვე სხვადასხვა მატერიალური მასალით აღჭურვა.

მოქალაქეთა დროული ინფორმირებისა და მეტი გამჭვირვალობის მიზნით შექმნილია მუნიციპალიტეტის ვებ გვერდი -www.lentekhi.gov.ge, სადაც ხდება საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილებების, განკარგულებების, ბრძანებების, ანგარიშების და სიახლეების განთავსება

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი მუშაობს აქტიურად და ნაყოფიერად. აპარატის ყველა თანამშრომელს გათავისებული აქვს თავისი უფლება-მოვალეობა და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ საკრებულოში, საკრებულოს კომისიებში და აპარატში სამუშაო პროცესი იყოს ხარისხიანი და ნაყოფიერი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებმა დალი ტვილდიანმა და ლამზირა გუგავამ.

აღნიშნეს, რომ საკრებულოს აპარატი მუშაობს მონდომებით, მასიურად და არიან ორიენტირებული საკრებულოს ორგანიზებულ, ხარისხიან მუშაობაზე. რა თქმა უნდა საკრებულოს აპარატი გაწეული მუშაობისთვის იმსახურებს მადლობას.

აზრი გამოთქვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დავით პირველმა:

საკრებულოს აპარატის მუშაობა შეფასდეს დადებითად.

საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს აპარატის უფროსის მიერ წარმოდგენილი ანგარიში და აპარატის მუშაობა შეაფასეს დადებითად.

საკრებულოს ბიუროს სხდომა დამთავრდა 13 საათსა და 20 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი